საკანონმდებლო ჩარჩო საცხოვრისის საკითხებზე

საკანონმდებლო ჩარჩო საცხოვრისთან მიმართებით შემდეგნაირია: საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს მოქალაქეების ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის; ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობების როლს უსახლკარობის პრობლემის აღმოფხვრაში; კანონი სოციალური დახმარების შესახებ განსაზღვრავს, ვინ შეიძლება ჩაითვალოს უსახლკარო პირად; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სათანადო საცხოვრისის ცნებას.

ინსტიტუციური მოწყობა

ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ უსახლკარო პირების რეგისტრაციას და მათთვის შესაბამისი სერვისების შეთავაზებას, თუმცა ეს პროცესი განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით. მუნიციპალიტეტები მართავენ საკუთარ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ თავშესაფრებს. თითოეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ფუნქციონირებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტი, რომლის მოვალეობას, გარდა ძირითადი საქმიანობისა (ეს შეიძლება იყოს ფულადი ან სხვაგვარი დახმარება როგორიცაა საკვები, აუცილებელი მედიკამენტები და ა.შ.), წარმოადგენს მუნიციპალიტეტში უსახლკაროთა და სახლის არმქონე პირთა რეგისტრაცია და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები: სოციალური მომსახურების სააგენტო და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტო ახორციელებენ სოციალური დახმარებისა და მხარდაჭერის პროგრამებს, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს პროგრამები მოიცავს აღნიშნული ჯგუფების სხვადასხვა ტიპის თავშესაფრით უზრუნველყოფას. თუმცა, სამინისტრო ზოგადად მოსახლეობის (სახლის არმქონეთა ჩათვლით) საცხოვრისით უზრუნველყოფაზე უშუალოდ არ არის პასუხისმგებელი. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ახორციელებს დევნილების და ეკომიგრანტების სათანადო საცხოვრისით და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებს.

უსახლკაროთა აღრიცხვა

სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია, აწარმოოს უსახლკაროთა ერთიანი რეგისტრი ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. უსახლკაროთა აღრიცხვის მეთოდოლოგია არ არის სტანდარტიზებული ქვეყნის მასშტაბით.